

## ALDA „დემოკრატიის საერთაშორისო დღე 2022” -ზე, რომელსაც მასპინძლობს რეგიონთა კომიტეტი ბრიუსელში

ALDA-მ მონაწილეობა მიიღო დემოკრატიის საერთაშორისო დღე 2022 -ზე ამა წლის 15 სექტემბერს, რომელსაც მასპინძლობდა რეგიონების კომიტეტი ბრიუსელში.

ღონისძიება დაყოფილი იყო რამდენიმე სესიად, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ მაღალი დონის მომხსენებლები, საერთაშორისო დემოკრატიის დამცველები და აქტივისტები ატლანტიკიდან და გლობალური სამხრეთიდან. მომხსენებლები განიხილავდნენ დემოკრატიის ახალი მსოფლიო წესრიგის გამოწვევებს. ყურადღება გამახვილდა დემოკრატიის დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმებზე მთელს მსოფლიოში.

დილის სესია ეხებოდა *დემოკრატიას გეოპოლიტიკის ეპოქაში*, რომელსაც მასპინძლობდა „დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი” (International IDEA). იგი გაიხსნა ვაშინგტონ პოსტში მომუშავე ინდოელი ჟურნალისტი, რანა აიუბის საკვანძო სიტყვებით, რომელმაც მიუთითა ინდოეთში არსებულ ვითარებაზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დარღვევაზე „მსოფლიოს უდიდეს დემოკრატიაში”.

რანა აიუბის გამოსვლის შემდეგ დისკუსია გაგრძელდა დემოკრატიის ევროპული ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, ჯერი პომიანოვსკის ,და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) დირექტორებისა და მრავალმხრივი ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის კრისტინა კოკინაჯისის მიერ.

მეორე პანელი ფოკუსირებული იყო *ევროკავშირის თავმჯდომარეობაზე* და *ევროკავშირის საგარეო დემოკრატიის დღის წესრიგზე*. პანელის მომხსენებელმა, შვედეთის ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ელჩმა, სესილია რუთსტრომ-რუინმა განაცხადა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ ომს არ აწარმოებენ, შვედეთის ვალდებულება დემოკრატიის დაცვაა.

**დემოკრატიის საერთაშორისო დღე 2022: ALDA იმყოფება რეგიონთა კომიტეტში, რათა გაუზიაროს ინფორმაცია სხვა სსო-ებსა და ინსტიტუტებს**

დღის მიწურულს ბოლო პანელი დაეთმო ორგანიზაციას „ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის” (EPD), რომლის წევრიც გახლავთ ALDA. პანელზე სხვადასხვა

გამომსვლელებმა ისაუბრეს *ახალგაზრდების პოლიტიკურ მონაწილეობაზე*. მომხსენებლებს შორის იყო **კიარა ადამო**, ევროკომისიის ადამიანის განვითარების, მიგრაციის, მმართველობისა და მშვიდობის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

ამრიგად, დემოკრატიული განზომილება ასოციაციის მუშაობის მთავარი თემაა. ისეთი ღონისძიებები, როგორც ჩატარდა ბრიუსელში, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ჩაერთოთ აქტიურად სხვებთან ერთად და გაცვალოთ იდეები მთელს მსოფლიოში დემოკრატიის სტატუსზე, ვინაიდან 2021 წელი იყო დემოკრატიის უკანდახევის წელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, **ALDA-ს პრინციპები ემყარება რწმენას, რომ გლობალური დემოკრატიული სამყარო შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ დემოკრატიულ ადგილობრივ თემებს**, რაც ნათლად აჩვენა ჩატარებულმა და განხორციელებულმა ინიციატივებმა და 2022 წლის საერთო კრებამ.

საერთო ჯამში, ALDA-ს გუნდმა აქტიური მონაწილეობა მიიღო და შესაძლებლობა მიეცა აზრები გაეცვალა დემოკრატიის თემაზე, მის გამოწვევებზე და თუ როგორ ჩაერთონ ადამიანები პოლიტიკურ პროცესებში.